

უკეთესი ცხოვრება ქართველი ხალხისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში იოგას
საშუალებით

ჩვენ, მისი უწმინდესობა ვიშვავურუ მაჰმანდალეშვარ პარამჰანს შრი სვამი მაჰმანდალეშვარანანდას ქართველ მიმდევრებს, გვსურს ვისარგებლოთ შესაძლებლობით და მივულოცოთ ჩვენს ძვირფას პატრონს ბჰარატ გაურავის სამუდამო მიღწევის ჯილდოს უმაღლესი აღიარების მიღება. გვსურს გამოვხატოთ აგრეთვე ჩვენი უღრმესი მადლიერება მისი უწმინდესობა შრი სვამი მაჰმანდალეშვარანანდას მიმართ მისი თავდადებული მუშაობისა და წარმატებული მიღწევებისათვის ჰუმანიტარულ, მშვიდობისმყოფელ და ეკოლოგიის სფეროებში მთელს მსოფლიოში. ჩვენი მოკრძალებული აზრით, მისი უდიდესი მიღწევა არის სისტემის - იოგა ყოველდღიურ ცხოვრებაში (YIDL) - დაფუძნება და სწავლება. ეს სისტემა მილიონობით ადამიანს დაეხმარა მთელს მსოფლიოში ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და სულიერი ჯანმრთელობის აღდგენაში.

ჩვენთვის საამაყოა, რომ შრი სვამი მაჰმანდალეშვარ ჩვენი პატრონია, და რომ მისი სისტემა წარმატებით ისწავლება საქართველოს რესპუბლიკაში და მრავალ ადამიანს ეხმარება. მისმა უწმინდესობამ 2006 წელს დაიწყო საქართველოში სწავლება - იოგა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინ როცა საქართველოში იოგის ცენტრიც კი არ არსებობდა და იოგას ღიად არავინ ასწავლიდა. პირველი ჯგუფი - იოგა ყოველდღიურ ცხოვრებაში - შედგებოდა 15 ადამიანისგან, მაგრამ მალე დედაქალაქ თბილისში გავრცელდა ხმა YIDL-ის სარგებლობის შესახებ და უფრო და უფრო მეტ ადამიანს სურდა გაკვეთილებზე ჩაწერა. 2010 წლისათვის საქართველოში 100-ზე მეტი ადამიანი იყო დაკავებული ამ მშვენიერი სისტემით. თბილისში პირველი იოგას ცენტრი დაფუძნდა 2010 წელს. და ეს იყო YIDL ცენტრი. ცენტრი მალე ძლიერ პოპულარული გახდა საქართველოში სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფებს შორის. 2014 წლის ზაფხულში, 300-ზე მეტი ადამიანი შევიდა იოგას გაკვეთილებზე YIDL ცენტრში, თბილისში, საქართველოში. ყველა ადამიანი, ვინც ესწრებოდა გაკვეთილებს აღნიშნავს ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, აგრეთვე მომატებულ ენერჯიას, გონებრივ სიცხადეს და სიცოცხლის ხალისს, როგორც YIDL სისტემით დაკავების შედეგს. მრავალი ამ ადამიანთაგანი ვეგეტარიანელი გახდა და მიატოვა სხვადასხვა მანერა ჩვევა სვამი მაჰმანდალეშვარანანდას სწავლების შემდეგ. თბილისში ამჟამად ოთხი ინსტრუქტორია, ვინც რეგულარულად ასწავლის იოგას.

მისი უწმინდესობა საქართველოს რესპუბლიკას პირველად ეწვია 2012 წლის დეკემბერში. მან ჩაატარა ბრწყინვალე სემინარის სამდღიანი კურსი, რომელსაც 150-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. სვამი მაჰმანდალეშვარანანდას დიდი ცოდნისა და სიბრძნის წყალობით, მრავალი ადამიანი შთაგონებული იქნა დაეწყო იოგას ვარჯიში, ეცხოვრა ჯანმრთელი ცხოვრებით და გაძლიერებულიყო სულიერად.

სვამი მაკეშვარანანდას გამოგზავნილმა მესიჯმა, ვიზრუნოთ გარემოზე და მთელს მსოფლიოში ხეების დარგვის მისმა უწყვეტმა მცდელობებმა ჩვენს ქვეყანაშიც გამოიღო ნაყოფი. YIDL ჯგუფმა აირჩია მშენებრი ადგილი თბილისში, ვარდების პარკში, სადაც ჩვენ უკვე დავრგეთ და ვაპირებთ კიდევ დავრგოთ სხვადასხვა ჯიშის ხეები. ჩვენ აგრეთვე წამოვიწყეთ საჯარო YIDL გაკვეთილები თბილისის ერთ-ერთ პარკში, რომელიც ყოველ შაბათს ტარდება და სულ უფრო მეტი ხალხი ესწრება.

იოგა ყოველდღიურ ცხოვრებაში სისტემის ვარჯიშის შედეგად, ჩვენი ცხოვრება უფრო მეტად სავსე, წარმატებული, ბედნიერი და სულიერებით სავსე ხდება. და ამისათვის ჩვენ მუდამ მისი უწმინდესობა შრი სვამი მაკეშვარანანდას მადლიერნი ვართ. ამჯერად, ჩვენ გვსურს ვუსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უამრავი წარმატება თავის თავდადებულ მცდელობებში დაეხმაროს ხალხს ჩვენს პლანეტაზე იცხოვრონ ლამაზი, ჯანმრთელი, მშვიდობიანი და აზრიანი ცხოვრებით.

მიმდევართა ჯგუფი

თბილისი, საქართველო

29 ივლისი, 2014